



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/43

ქ. თბილისი


8 ივნისი 2018

სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების  
შემსწავლელი ცენტრის თანამდებობებზე განმეორებით  
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-04/125 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 8 ივნისის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. გამოცხადდეს განმეორებით კონკურსი სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის შემდეგ სამეცნიერო თანამდებობებზე:
  - მიწის, წყლის და ტყის რესურსების და ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
  - ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და ტურიზმის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
  - მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
2. თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე კანდიდატთა მიმართ წაყენებული იქნება დამატებითი მოთხოვნები, რომელიც წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის;
3. კონკურსი გამოცხადდეს არაუგვიანეს 2018 წლის 15 ივნისისა;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბაშვილი